

ვენახების კადასტრის შედგენაში უცხოელი ექსპერტი ჩერთო



ვენახების ეროვნული კადასტრის პროგრამის შესრულებაში პორტუგალიელი ექსპერტი ჩერთო. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (GIZ) მხარდაჭერით, ანა დუჟი 2018-2019 წლებში ღვინის ეროვნულ სააგენტოში კონსულტანტად იმუშავებს.

ვენახების კადასტრის პროგრამა ღვინის ეროვნულმა სააგენტომ 2014 წელს დაიწყო. პროცესი მაქსიმალურად უნდა ითვარისწინებდეს საერთაშორისო გამოცდილებასა და თანხვედრაში უნდა იყოს ევროკავშირში მოქმედ კანონმდებლობასთან.

კადასტრის პროგრამის ფარგლებში, 2014 წლიდან დღემდე შემუშავდა საქართველოს ვენახების კადასტრის აგებისა და ფუნქციონირების კონცეფცია, დამუშავდა საკადასტრო დოკუმენტების ნაკრები, შეიქმნა მონაცემთა ედვენტრონული ბაზა, სადაც თავს მოიყრის საკადასტრო ინფორმაცია; რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში აღირიცხა 886.9 ჰა, ყვარლის მუნიციპალიტეტში 5533,4 ჰა, თეღვის მუნიციპალიტეტში 5477,9 ჰა და ახმეტის მუნიციპალიტეტში 1818,2 ჰექტარი ვენახი.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საქართველოში ანალოგიური სისტემა აქამდე არ არსებობდა. კადასტრის სისტემა ეფექტურად მუშაობს ევროკავშირის ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მევენახეობა-მელვინეობაა განვითარებული. საკადასტრო ბაზის არსებობა აუცილებელია ვენახების აღრიცხვიანობის მოსაწესრიგებლად, მევენახეობა-მელვინეობის დარგში გადამწყვეტილებების მისაღებად, რთველის პროცესის სწორად დასაგეგმად, ღვინის წარმოებისა და მისი მოძრაობის მონიტორინგისთვის, ზოგადად მევენახეობა-მელვინეობის

სფეროს რეგულირებისათვის.